საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 2519
03/09/2018

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონით იჯარით გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 119–ე, 122-ე მუხლის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 აგვისტოს #54 40 განკარგულების „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (სოფელი ჭორვილა ს/კ #35.07.58.015) უძრავი ქონების და მატერიალური ფასეულობების (შენობა-ნაგებობა N1-1948კვ.მ. N2 -76.8 კვ.მ., მიწის ნაკვეთი 5821 კვ.მ. და 229 დასახელების მოძრავი ქონება) ელექტრონული აუქციონით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 3 წლის ვადით გაცემა.

2. უძრავ-მოძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემისას საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების ღირებულების 5%-ის ოდენობით (157658 ლარი). „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საიჯარო საფასურის 10–10 პროცენტი.

3. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის სააუქციონო კომისიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ბენიამენ ფალავანდიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

საქართველო საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია * GEORGIA SACHKHERE MUNICIPALITY CITY HALL * 239393811